საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში
ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #140 04.10.2022

საერთაშორისო რეიტინგები მნიშვნელოვანი ინდიკატორია ქვეყნის პროგრესის შესაფასებლად სხვადასხვა სფეროებში. მოცემულ ბიულეტენში მიმოვიხილავთ საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციებს ბოლო წლებში, მათ დინამიკას ბოლო მონაცემებზე დაყრდნობით და შევადარებთ აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებს (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა და ბელარუსი[1]).

The Heritage Foundation - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი



Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნების ეკონომიკურ თავისუფლებას აანალიზებს შემდეგი ოთხი კატეგორიის მიხედვით: კანონის უზენაესობა, მთავრობის ზომა, რეგულაციების ეფექტიანობა და ღია ბაზრები.

2021 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 178 ქვეყნიდან მე-12 ადგილი დაიკავა და 2020 წლის პოზიცია შეინარჩუნა. 2021 წელს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ოთხი კატეგორიიდან, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა აქვს მთავრობის ზომაში (87.0), ხოლო ყველაზე დაბალი - კანონის უზენაესობაში (63.6). გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს ქულა ყველაზე მეტად გაუმჯობესდა მთავრობის ზომაში (+1.9), ხოლო ყველაზე მეტად გაუარესდა ღია ბაზრებში (-0.9).

აღსანიშნავია, რომ საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ნამყვან პოზიციას იკავებს და რეგიონში ერთადერთ „უმეტესად თავისუფალ" ქვეყნად რჩება. თუმცა, 2022 წელს საქართველოს პოზიცია ინდექსში 26-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. აღნიშნული უკუსვლა ინდექსის მიხედვით, ძირითადად გამოწვეულია ბიზნესის თავისუფლებისა და ფისკალური თავისუფლების ინდიკატორებში მდგომარეობის გაუარესებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყნის მდგომარეობა სტაბილურად შენარჩუნდა შემდეგ ინდიკატორებში: საგადასახადო ტვირთი და ვაჭრობის თავისუფლება.

The Economist Intelligence Unit - დემოკრატიის ინდექსი

The Economist Intelligence Unit-ის დემოკრატიის ინდექსის კვლევა ეფუძნება ხუთ კატეგორიას (საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება, პოლიტიკური ჩართულობა, პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო თავისუფლება), რისი მეშვეობითაც იზომება მსოფლიოში დემოკრატიის ხარისხი. შედეგების მიხედვით ქვეყნები ოთხ ჯგუფში ნაწილდება: „სრულად დემოკრატიული"[2], „არასრულყოფილად დემოკრატიული"[3], „ჰიბრიდული რეჟიმი"[4] და „ავტორიტარული რეჟიმი"[5].



2021 წლის დემოკრატიის ინდექსში საქართველომ 167 ქვეყნიდან 91-ე ადგილი დაიკავა და 2020 წლის პოზიცია შეინარჩუნა. შესაბამისად, 2020 წლის მსგავსად, ქვეყანა დემოკრატიის ხარისხის თვალსაზრისით კვლავ „ჰიბრიდული რეჟიმის" ქვეყნების ჯგუფში დარჩა. 2021 წელს, დემოკრატიის ინდექსის ხუთი კატეგორიიდან, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა ჰქონდა საარჩევნო პროცესსა და პლურალიზმში (7.42), ხოლო ყველაზე დაბალი - მთავრობის ფუნქციონირებაში (3.57). გარდა ამისა, 2020 წელთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი არცერთ კატეგორიაში არ გაუმჯობესებულა, თუმცა ყველაზე მეტად გაუარესდა პოლიტიკურ ჩართულობაში (-0.6).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2021 წლის დემოკრატიის ინდექსის მიხედვით მოლდოვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერია. ასევე, ის დაწინაურდა ქვეყნების ჯგუფებშიც და „არასრულყოფილად დემოკრატიულ" ქვეყნად კლასიფიცირდა. საქართველოს მსგავსად, უკრაინა და სომხეთი "ჰიბრიდული რეჟიმის" ქვეყნებს შორის არიან, ხოლო აზერბაიჯანი და ბელარუსი - "ავტორიტარული რეჟიმის" ქვეყნების ჯგუფში.

The Social Progress Imperative - სოციალური პროგრესის ინდექსი



The Social Progress Imperative-ის სოციალური პროგრესის ინდექსი 168 ქვეყანას სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიხედვით აფასებს. ინდექსი სამი ჯგუფისგან შედგება: ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, ადამიანის ძირითადი კეთილდღეობა და განვითარების შესაძლებლობა.

2021 წლის სოციალური პროგრესის ინდექსში საქართველომ 49-ე ადგილი დაიკავა და 2020 წლის მაჩვენებელი 7 პოზიციით გაუმჯობესა. 2021 წელს, ინდექსის სამი კატეგორიიდან, საქართველოს საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა ადამიანის ძირითად მოთხოვნილებებში (86.49 ქულა), ხოლო ყველაზე დაბალი - განვითარების შესაძლებლობაში (64.06). გარდა ამისა, 2020 წელთან შედარებით, საქართველოს ქულა ყველაზე მეტად გაუმჯობესდა ძირითად მოთხოვნილებებში (+0.7), ხოლო გაუარესება არცერთ კატეგორიაში არ შეინიშნებოდა.

2021 წლის სოციალური პროგრესის ინდექსის მიხედვით უკრაინა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერი იყო და 48-ე პოზიციას იკავებდა. რეგიონში ყველაზე ცუდი პოზიცია - 107-ე ადგილი აზერბაიჯანმა დაიკავა.

მშვიდობის ფონდი - არამდგრადი ქვეყნების ინდექსი

მშვიდობის ფონდის არამდგრადი ქვეყნების ინდექსი ყოველწლიურად 179 ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას აანალიზებს. ინდექსი აფასებს სახელმწიფოს კოლაფსის რისკს სხვადასხვა გამოწვევების ფონზე, რომლებთანაც კონკრეტულ სახელმწიფოს უწევს გამკლავება. იგი ოთხი ინდიკატორისგან შედგება: შეკავშირებულობა[6], ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინდიკატორები.

2021 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 179 ქვეყნიდან 79-ე ადგილი დაიკავა და 2020 წლის პოზიცია შეინარჩუნა. 2021 წლის არამდგრადი ქვეყნების ინდექსის ოთხი ინდიკატორიდან საქართველოს საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა შეკავშირებულობის ინდიკატორებში (22 ქულა), ხოლო ყველაზე დაბალი - ეკონომიკურ ინდიკატორებში (15.6). გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი ყველაზე მეტად გაუმჯობესდა სოციალურ ინდიკატორებში (+1.1 ქულა), ხოლო ყველაზე მეტად გაუარესდა შეკავშირებულობის ინდიკატორებში (-0.6 ქულა).

2021 წელს საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მხოლოდ აზერბაიჯანს უსწრებდა და 79-ე ადგილს იკავებდა. რეგიონში ლიდერები იყვნენ მოლდოვა (103-ე) და ბელარუსი (98-ე), ხოლო უკრაინა და სომხეთი 91-ე ადგილს ინაწილებდნენ. აზერბაიჯანმა კი ბოლო, 71-ე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საქართველოს და 2014 წელს უკრაინის შემთხვევაში, ინდექსში მკვეთრი გაუარესება შეინიშნება. მაგალითად, საქართველომ ყველაზე არასახარბიელო ადგილი (33-ე) დაიკავა 2009 წელს, რუსეთთან ომის შემდეგ. ასევე, 2014 წელს, რუსეთთან ომის შემდეგ, უკრაინის პოზიცია საგრძნობლად გაუარესდა.



World Intellectual Property Organization - გლობალური ინოვაციის ინდექსი



World Intellectual Property Organization-ის გლობალური ინოვაციის ინდექსი აფასებს ქვეყნების უნარსა და წარმატებას ინოვაციებში. ინდექსი შვიდი კატეგორიისგან შედგება: ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარება, ბიზნესის განვითარება, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითობა.

2021 წლის ინდექსის მიხედვით, საქართველომ 132 ქვეყნიდან 63-ე ადგილი დაიკავა და 2020 წლის პოზიცია შეინარჩუნა. 2021 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის შვიდი კატეგორიიდან საქართველოს საუკეთესო მაჩვენებელი დაფიქსირდა ინსტიტუციებში (76.2 ქულა), ხოლო ყველაზე დაბალი - ცოდნასა და ტექნოლოგიებში (18.1 ქულა).

გარდა ამისა, 2020 წლის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი ყველაზე მეტად გაუმჯობესდა ბიზნესისა და ბაზრის განვითარების კატეგორიებში (+2.1 ქულა), ხოლო ყველაზე მეტად გაუარესდა ინფრასტრუქტურაში (-1.1 ქულა).

2021 წელს უკრაინა აღმოსავლეთ პარტნიორების ქვეყნებში ლიდერი იყო და 49-ე ადგილს იკავებდა. აზერბაიჯანი ტრადიციულად ბოლო ადგილზე გავიდა და მე-80 პოზიცია დაიკავა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს შედეგები 2021 წლის საერთაშორისო ინდექსებში სტაბილური იყო. 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საქართველომ შეინარჩუნა თავისი პოზიცია ყველა განხილულ ინდექსში, გარდა სოციალური პროგრესის ინდექსისა, სადაც საქართველოს პოზიცია საგრძნობლად გაუმჯობესდა. თუმცა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ზოგიერთი განხილული საერთაშორისო ინდექსის მიხედვით, საქართველო ნელ-ნელა კარგავს მზარდი ქვეყნის სტატუსს, რადგან 2021 წლის ზრდის ტემპი ჩამორჩება წინა წლების ზოგად ზრდის ტემპს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან შედარებას, საქართველო ტრადიციულად ლიდერობს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში, ამასთანავე იგი სოციალური პროგრესის ინდექსით - მეორე, ხოლო გლობალური ინოვაციის ინდექსით მესამე ადგილზეა რეგიონში. თუმცა, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების უმეტესობას ჩამორჩება დემოკრატიის ინდექსსა და არამდგრადი ქვეყნების ინდექსში.

1. 2021 წლის ივნისის შემდეგ ბელარუსს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნის სტატუსი შეჩერებული აქვს. (https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern-partnership/belarus/).
2. ქვეყნები, სადაც არა მხოლოდ ძირითადი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებაა დაცული, არამედ სადაც ასევე არსებობს პოლიტიკური კულტურა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიას.
3. ქვეყნებს აქვთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პრობლემები (მაგალითად თავისუფალ მედიაში), ძირითადი სამოქალაქო თავისუფლება დაცულია.
4. არჩევნებში არსებული მნიშვნელოვანი დარღვევები ხელს უშლის სამართლიან და თავისუფალ არჩევნებს. შესაძლოა გავრცელებული იყოს ხელისუფლების ზეწოლა ოპოზიციასა და კანდიდატებზე.
5. ქვეყნებში არაა ან ძლიერად შეზღუდულია პოლიტიკური პლურალიზმი. ბევრ ასეთ ქვეყანაში აშკარა დიქტატურაა.
6. შეკავშირებულობის ინდიკატორები მოიცავს შემდეგ ჯგუფებს: უსაფრთხოების სახელმწიფო აპარატი, ელიტური/კლანური ჯგუფები და ჯგუფური საჩივრები.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2019	2020	2021	2022 I კვ.	2022 IIკვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7*	15 888.1*	18 700.1*	4 610.4*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2*	4 274.6*	5 015.3*	1 249.9*	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.2%*	10.4*	14.9*	-
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 335.8*	572.0	1 152.8*	568.2*	351.8*
უმუშევრობის დონე(%)	17.6%	18.5%	20.6%	20.6%	18.1%
საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	7 956	7 751	-
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9%	-	-

*წინასწარი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
სტაჟიორი
sh.matcharashvili@pmcginternational.com